



ხმელთაშუა და შავი ზღვების ენერგეტიკული რესურსები და საერთაშორისო თანამშრომლობა მათი მოძიებისა და მოპოვების საკითხებში

ავტორი: ზაალ მარგველაშვილი, დიპლომატიური ინსტიტუტის მკვლევარი

1. შესავალი

2020 წლის ზაფხულში გამწვავდა მდგომარეობა აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში, როდესაც 10 აგვისტოს თურქეთმა გაგზავნა საძიებო გემი კუნძულ კასტელორიზოს მიმდებარე ტერიტორიაზე საძიებო სამუშაოების ჩასატარებლად სამხედრო ხომალდების თანხლებით, რომელიც თურქეთის მხარემ „საკუთარ განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონად“ გამოაცხადა.

საკასუხოდ საბერძნეთმა, რომელიც აცხადებს, რომ ხსენებული კუნძული მის იურისდიქციაშია, მოუწოდა თურქეთს, რომ უკან დაებრუნებინა თავისი ხომალდები და არ დაერღვია საბერძნეთის სუვერენული უფლებები. ამასთან, საბერძნეთმაც ამოქმედა თავისი სამხედრო საზღვაო ფლოტი, რომელმაც დაიწყო თურქული ხომალდების მოქმედების მონიტორინგი და მიმართა თავის პარტნიორ ქვეყნებს და ევროსტრუქტურებს მხარდაჭერისათვის.

აღნიშნული დაძაბულობის ესკალაცია თურქეთსა და საბერძნეთს შორის ინტერესთა კონფლიქტის მორიგი გამოხატულებაა აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში მდებარე ენერგეტიკული რესურსების გარშემო. თურქეთსა და საბერძნეთს აქვთ ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში როგორც ტერიტორიულ დავების, ისე ენერგო-რესურსების მოპოვებასთან დაკავშირებით.

რამდენიმე წლის წინ კვიპროსის სანაპიროსთან აღმოჩენილი იქნა ბუნებრივი აირის მნიშვნელოვანი საბადოები. ზოგიერთი გათვლით საუბარია 3.5 ტრილიონ კუბურ მეტრ გაზზე, რაც ამ რეგიონს აყენებს ვენესუელისა და ნიგერიის მხარდამხარ. გარდა ამისა, ნილოსის აუზში წინასწარი გათვლებით შეიძლება იყოს 5.13 ტრილიონი კუბური მეტრი გაზი. ამან უზიდავს კვიპროსის ბერძნულ მთავრობას, საბერძნეთს, ისრაელს და ეგვიპტეს ეთანამშრომლათ ამ რესურსების მოპოვების საქმეში, რაც გულისხმობს ამ რესურსების ევროპისათვის მიწოდებას 2 000 კილომეტრიანი გაზსადენის მეშვეობით. ამ თანამშრომლობაში მიწვეული არ ყოფილა თურქეთი, რომელიც რეგიონში ატარებს აქტიურ, დამოუკიდებელ პოლიტიკას და რომელსაც ზოგჯერ თავისი მეზობელი სახელმწიფოებისა და ნატოელი მოკავშირეებისაგან განსხვავებული ინტერესები აქვს.

ეგვიპტეს, კვიპროსს, საბერძნეთს, თურქეთს, ისრაელს, ლიბანს, იორდანისასა და პალესტინის ხელისუფალთ სურთ ამ რესურსების ნაწილის მიღება, რის გამოც ეძებენ რეგიონში მოკავშირეებს და ერთიანდებიან ალიანსებში. ეგვიპტემ დაიწყო გაზისა და ნავთობის მარაგების ექსპლუატაცია და გადაიქცა რეგიონში ენერგომატარებლების ექსპორტიორ ქვეყნად. ლიბანი საფრანგეთისა და რუსეთის დახმარებით ასევე იწყებს ამ რესურსების კომერციულ ექსპლოატაციას. ევროპა დიდი ხანია ცდილობს რუსულ გაზზე თავისი დამოკიდებულების შემცირებას და ევროკავშირი, რომელსაც არ ყოფნის ენერგო-რესურსები, კარგი ბაზარია აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთის ენერგო-რესურსებისათვის.

2020 წლის 21 აგვისტოს თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ თაიპ ერდოღანმა გააკეთა განცხადება, რომ შავ ზღვაში აღმოჩენილია ბუნებრივი გაზის დიდი მარაგი. პრეზიდენტ ერდოღანის განცხადებით: „თურქეთმა შავ ზღვაში აღმოაჩინა ბუნებრივი აირის ყველაზე დიდი საბადო ისტორიაში“. ამ აღმოჩენამ შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს ხმელთაშუა და შავ ზღვებში ენერგორესურსების მოპოვებისა და განაწილების საქმეში.

2. თურქეთსა და საბერძნეთს შორის ტერიტორიული დავები

ნატოს წევრ ამ ორ ქვეყანას შორის დავის ეპიცენტრი კუნძული კვიპროსია, რომელიც 1974 წლიდან დღემდე გაყოფილია ორ ნაწილად: კვიპროსის რესპუბლიკის საერთაშორისოდ აღიარებული მთავრობა აკონტროლებს ბერძენი კვიპროსელებით კომპაქტურად დასახლებულ კუნძულის სამხრეთ ნაწილს, მაშინ როდესაც კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში თურქეთის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური

მხარდაჭერით ფუნქციონირებს თვითგამოცხადებული „ჩრდილოეთ კვიპროსის რესპუბლიკა“.

თურქეთი მუდმივად ეწინააღმდეგება კვიპროსის რესპუბლიკის ბერძნული ადმინისტრაციის მიერ აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში ენერგეტიკული რესურსების ერთპიროვნულ ექსპლუატაციას, მიაჩნია რა, რომ ჩრდილოეთ კვიპროსის არაღიარებულ რესპუბლიკას ასევე აქვს უფლებები ამ არეალში ბუნებრივ რესურსებზე. თავად თურქეთი არ აღიარებს ბერძნულ „კვიპროსის რესპუბლიკას“ და შესაბამისად ის არ აღიარებს მის ორმხრივ საერთაშორისო შეთანხმებებს, მათ შორის ლიბანთან და ისრაელთან.

თურქეთი სწრაფად მზარდი მოსახლეობით და ეკონომიკური პრობლემებით დღემდე ახორციელებდა ენერგო-რესურსების 90%-ის იმპორტს. შესაბამისად, მისი ეკონომიკა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ენერგომატარებლების მისაწვდომობაზე. თავისი ენერგეტიკული და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით თურქეთი აწვდის ენერგო-რესურსების მოძიებისა და მოპოვების ინდუსტრიას და თავისი უსაფრთხოების დასაცავად ამლიერებს თავის შეიარაღებულ ძალებსა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს. თურქეთში მიმდინარეობს ხომალდების მშენებლობის ფართო-მასშტაბიანი პროგრამა, რომელიც მოიცავს ჰაერ-საწინააღმდეგო გამანადგურებლებს, თანამედროვე კონვერტს, ფრეგატს, მინი ავიამზიდს და ხომალდ-ამფიბიას.

შავ ზღვაში სამხედრო ყოფნას ამლიერებს ნატო, რომელიც თავისი წევრი სახელმწიფოების თურქეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და აგრეთვე რეგიონული უსაფრთხოებისა და თავისი პარტნიორების საქართველოსა და უკრაინის დასაცავად შავ ზღვაში ახორციელებს რეგულარულ პატრულირებას და წვრთნებს. თავის სამხედრო-საზღვაო ძალებს ამლიერებს რუსეთის ფედერაციაც, რომელიც ასევე ესწრაფვის შავი ზღვის აუზის კონტროლს. შესაბამისად, რეგიონში იზრდება სამხედრო დაპირისპირების პოტენციალი. ხდება ალიანსების ჩამოყალიბება და ტერიტორიული დავების გამწვავება, მათ შორის ენერგო რესურსების გარშემო.

თურქეთი თავისი დიდი სამხედრო-საბრძოლო პოტენციალით ჩართულია არა მარტო სირიის ჩრდილოეთში, არამედ ლიბიაში მიმდინარე მოვლენებშიც. ეს ყოველივე კი ქმნის რეგიონში ინციდენტებისა და სამხედრო დაპირისპირების საშიშროებას.

2019 წელს თურქეთმა დაიწყო საძიებო სამუშაოები კვიპროსის დასავლეთით ენერგო-რესურსების შესაძლო მოძიებისა და მოპოვების მიზნით. ამ არეალში არსებობს სადავო ტერიტორიები, რომლებზე საკუთარი სუვერენული უფლებების გავრცელებას ცდილობს ორივე მხარე. საკითხი ეხება სუვერენული უფლებების გავრცელებას კონტინენტური შელფის სადავო მონაკვეთებზე.

ნატოს ამ ორ წევრ სახელმწიფოს შორის პირველი დაძაბულობა განმუხტა გერმანიამ, რომელიც სადღეისოდ ასრულებს ევროკავშირის თავმჯდომარეობის როლს. გერმანიის ჩარევის შემდეგ გადაწყდა დავის გადაჭრა დიალოგის მეშვეობით, მაგრამ 2020 წლის 6 აგვისტოს საბერძნეთმა და ეგვიპტემ ხელი მოაწერეს შეთანხმებას აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში საზღვაო ზონის შექმნის შესახებ, რომელზე პრეტენზიასაც აცხადებს თურქეთიც. თურქეთსა და საბერძნეთს შორის მოლაპარაკებები შეწყდა და თურქული ხომალდები გაემართნენ სადავო ტერიტორიისაკენ. ამან ბიძგი მისცა დაძაბულობის შემდგომ ესკალაციას.

ყოველივე ზემოთქმულმა გამოიწვია საბერძნეთისა და კვიპროსის შემფოთება, რომლებიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებია. საპასუხოდ საბერძნეთმა განაცხადა თავისი სუვერენიტეტის დაცვის მზადყოფნის შესახებ.

თურქეთის განცხადებით, თურქეთისა და ჩრდილოეთ კვიპროსის რესპუბლიკის გამორიცხვა რეგიონში ენერგეტიკის სფეროში მიმდინარე პროცესებიდან დაუშვებელია. 2019 წლის ნოემბერში თურქეთმა ხელი მოაწერა ლიბიასთან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ შეთანხმებას, თურქეთის სამხრეთ სანაპიროდან ლიბიის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირომდე. ეგვიპტემ ეს შეთანხმება მიიჩნია სამართლებრივი საფუძვლის არმქონედ, რასაც დაეთანხმა საბერძნეთიც, რომლის პოზიციითაც ეს შეთანხმება არ ითვალისწინებს ორ ქვეყანას შორის ბერძნულ კუნძულ კრეტას არსებობის ფაქტს. საბერძნეთსა და ეგვიპტეს შორის 2020 წლის 6 აგვისტოს დადებული შეთანხმება ითვალისწინებს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის განსაზღვრას, რაც გამორიცხავს თურქეთსა და ლიბიას შორის დადებული შეთანხმების განხორციელებას.

ეგეოსის ზღვაში და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში განლაგებული ბევრი კუნძული მდებარეობს თურქეთის სანაპიროს სიახლოვეს. შესაბამისად, თურქეთსა და საბერძნეთს შორის ტერიტორიული დავები რთული და კომპლექსური საკითხია და წარსულში ომის ზღვრამდეც კი მიუყვანია მხარეები.

თუ თურქეთი განავრცობს თავის ტერიტორიულ წყლებს თავისი სანაპირო ზოლიდან 12 საზღვაო მილზე გაეროს საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციის შესაბამისად, მაშინ ეს გამოიწვევს თურქეთისა და საბერძნეთის ტერიტორიული წყლების გადაფარვას და შესაბამისად დაბრკოლებას შეუქმნის საბერძნეთის საზღვაო მიმოსვლას. მაგრამ გარდა ტერიტორიული წყლების პრობლემისა, აქ არსებობს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების პრობლემაც. ასეთი ზონებია ის საზღვაო აკვატორია, რომელიც განსაზღვრულია თურქეთსა და ლიბიას შორის შეთანხმებით და კვიპროსის შეთანხმებებით ლიბანთან, ეგვიპტესთან და ისრაელთან.

თურქეთი არ დაეთანხმა საბერძნეთის პოზიციას, რომ თურქული ხომალდების მოქმედება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს. საკითხი შეეხება საზღვაო აკვატორიას კვიპროსსა და ბერძნულ კუნძულ „კრეტას“ შორის, რომელიც მდებარეობს თურქეთის სანაპიროს სიახლოვეს, თურქეთის სამხრეთ-დასავლეთით და რომელზეც ტერიტორიული პრეტენზიები აქვთ როგორც საბერძნეთს, ისე თურქეთს. აქ ადგილი შეიძლება ჰქონდეს მხარეების მიერ საერთაშორისო სამართლის განსხვავებულ გაგებას და ინტერპრეტაციასაც. მხარეებს შორის უთანხმოებაა მიგრანტებისა და აია სოფიას საკითხებშიც, რამაც ურთიერთობები საბერძნეთსა და თურქეთს შორის „გაყინა“ მრავალი თვის განმავლობაში.

საბერძნეთის მხარის მტკიცებით, თურქული საძიებო გემი არღვევს მის უფლებებს კონტინენტურ შელფზე, რაც წარმოადგენს ფართო არეალს კუნძულ „კასტელორიცოს“ მიმდებარედ, რომელიც განლაგებულია თურქეთის სანაპიროდან 2 კილომეტრის დაშორებით. მაშინ როდესაც საბერძნეთმა თურქეთს მოსთხოვა თავისად მიჩნეული კონტინენტური შელფის დაუყოვნებელი დატოვება, თურქული მხარე ამტკიცებს, რომ „კუნძულებს, რომლებიც მდებარეობენ შორს საბერძნეთის მატერიკიდან და უფრო ახლოს თურქეთის სანაპიროსთან, არ შეიძლება ჰქონდეთ კონტინენტური შელფი“.

2020 წლის პირველ ნახევარში ეგვიპტის, კვიპროსის, საბერძნეთის, იორდანის, ისრაელის და პალესტინის წარმომადგენლები შეხვდნენ ერთმანეთს კაიროში, რათა განეხილათ აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის გაზის ფორუმის შექმნა და ამ დარგში თანამშრომლობის პერსპექტივები. ასევე განიხილეს მსხვილი წყალქვეშა გაზსადენის მშენებლობის საკითხი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ზემოხსენებული საბადოდან გაზის მიწოდება ევროპისათვის.

თურქეთი მიწვეული არ იყო ამ შეხვედრაზე. თურქული მხარის მტკიცებით, ანკარა არ შეურიგდება მის „ჩაკეტვას“ მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის სახმელეთო ნაწილში და ის მოქმედებს საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს კონვენციის შესაბამისად. რეგიონის ქვეყნების მხრიდან იგნორირების საპასუხოდ, 2019 წლის დეკემბერში თურქეთმა განათავსა შეიარაღებული დრონები ჩრდილოეთ კვიპროსში, თავისი საძიებო გემების დასაცავად. თავის მხრივ, 2020 წლის თებერვალში ფრანგულმა ავიამზიდმა „შარლ დე გოლმა“ ჩაატარა წვრთნები კვიპროსის სანაპიროსთან, რათა გაეფრთხილებინა თურქეთის საძიებო გემები, რომ ისინი მოქმედებდნენ ევროკავშირის ინტერესთა საწინააღმდეგოდ. აშშ-მაც განაცხადა ივლისში, რომ დაიწყებდა კვიპროსის ჯარის სამხედრო წვრთნებს, რითაც გამოხატა მხარდაჭერა საბერძნეთის მიმართ.

ამ პირობებში თურქეთის მიერ საძიებო გემის გაგზავნამ სამხედრო ხომალდების თანხლებით კუნძულ კრეტას სიახლოვეს კიდევ უფრო დაამძიმა მდგომარეობა რეგიონში. თურქეთი ამ ოპერაციის ჩატარებას აპირებდა ივლისში, მაგრამ თავი

შეიკავა მოსალოდნელი საერთაშორისო გართულებების თავიდან აცილების მიზნით, მაგრამ საბერძნეთისა და ეგვიპტის მიერ ზემოთხსენებული საერთაშორისო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ მაინც დაიწყო ამ ჩანაფიქრის განხორციელება.

იმ შემთხვევაში, თუ დაიწყება სამხედრო კონფრონტაცია, მას ექნება დამანგრეველი შედეგები მთელი რეგიონისთვის, მიუხედავად იმისა, თუ ვინ გაიმარჯვებს. ასეთი კონფრონტაცია დიდ ზიანს მიაყენებს რეგიონის ეკონომიკას და გაართულებს ევროპის ურთიერთობებს ისედაც იზოლირებულ თურქეთთან. კვიპროსის რესპუბლიკამ უკვე მოითხოვა საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება, არსებული ტერიტორიული დავების თაობაზე.

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა მიუტ სოტაკისმა მოუწოდა თურქეთს, რომ გამოიჩინოს „სადი აზრი“ და გააფრთხილა, რომ სამხედრო მოქმედებებმა რეგიონში შეიძლება მიგვიყვანოს საერთაშორისო ინციდენტებამდე. მან თურქულ მხარეს მოუწოდა დიალოგისკენ რადგან საბერძნეთს არ სურს ესკალაცია, თუმცა არც ერთი პროვოკაცია არ დარჩება უპასუხოდ.

თუმცა თურქეთის თავდაცვის მინისტრმა ჰუკუზი აკარმა მხარი დაუჭირა საკითხის მშვიდობიან გადაწყვეტას საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, ამასთან განაცხადა, რომ თურქეთი დაიცავს თავის უფლებებს, კავშირებს და ინტერესებს“. თურქული მხარის განცხადებით, მას აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში ყველაზე გრძელი სანაპირო ზოლი აქვს, თუმცა სარგებლობს მხოლოდ მისი ვიწრო მონაკვეთით, რადგან საბერძნეთი, რომელსაც ეკუთვნის ბევრი კუნძული თურქეთის სანაპიროსთან ახლოს, ავრცელებს თავის კონტინენტურ შელფს თავისი სანაპიროდან შორ მანძილზე.

თურქეთის მხარისვე განცხადებით, თურქეთი გასცემს ლიცენზიებს ამ მონაკვეთზე ენერგო-მატარებლების მოძიებისა და მოპოვების მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთი ცდილობს ამ ტერიტორიაზე საკუთარი იურისდიქციის გავრცელებას. მის მიერ ხომალდების აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში გაგზავნის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო გაეგზავნა გზავნილი საბერძნეთისა და მისი პარტნიორებისათვის, რომ თურქეთი დაიცავს თავის სუვერენულ უფლებებს ხმელთაშუა ზღვაში და უკმაყოფილოა ხმელთაშუა ზღვაში ენერგო-რესურსების განაწილების მდგომარეობით.

თურქეთის მოქმედებები ასევე შეიძლება შეფასდეს მოწოდებად, რომ ნაპოვნი იქნას პრობლემის გადაწყვეტის ერთიანი გზა. პრეზიდენტმა ერდოღანმა არაერთხელ განაცხადა, რომ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების მეშვეობით.

თურქეთი გერმანიის თხოვნით თავს იკავებდა საძიებო სამუშაოების ჩატარებისაგან ხმელთაშუა ზღვაში გარკვეული დროის განმავლობაში, რათა შემცირებულიყო

დაძაბულობა. მაგრამ მას შემდეგ, რაც საბერძნეთმა ხელი მოაწერა ეგვიპტესთან შეთანხმებას ხმელთაშუა ზღვაში იურისდიქციის შესახებ, დაიწყო აქტიური მოქმედება. თუმცა საფრანგეთის პირდაპირი და აშშ-ს არაპირდაპირი მხარდაჭერით საბერძნეთი ცდილობს ამ პრობლემის გადაჭრას თავისი ინტერესების შესაბამისად, თურქეთი ცდილობს საერთაშორისო თანამეგობრობისათვის განსხვავებული რეალობის დანახვებას.

იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის დაიწყება სამხედრო დაპირისპირება, თურქეთს ექნება სამხედრო უპირატესობა საბერძნეთთან შედარებით, თუმცა ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა პოზიციას დაიჭერენ ნატოს სხვა წევრები. სადღეისოდ ნატოში ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს ერთიანი პოზიცია. კონფრონტაციის გაგრძელებას მოყვება დანაკარგები ყველა მხარისათვის.

საკითხს ართულებს ის ფაქტი, რომ კუნძული კასტელორიცო საბერძნეთის კონტინენტური სანაპიროდან 520 კილომეტრშია, მაშინ როდესაც თურქეთის სანაპიროდან მდებარეობს მხოლოდ 2 კილომეტრში, რაც თურქეთს აძლევს გარკვეულ უპირატესობას. შესაბამისად, თურქეთს გაუჭირდება უკან დახევა, რადგან ეს მნიშვნელოვნად დააზარალებს პრეზიდენტ ერდოღანის პოზიციებს შემდეგ არჩევნებზე მოკლევადიან პერსპექტივაში და თურქეთის სუვერენულ უფლებებს გრძელვადიან პერსპექტივაში.

3. შავი ზღვის ენერჯო რესურსები

2020 წლის 21 აგვისტოს თურქეთის ენერჯისა ბუნებრივი რესურსების მინისტრის ფატიჰ დონმეზის განცხადებით, შავი ზღვის აკვატორიაში თურქეთის მიერ აღმოჩენილი ბუნებრივი აირის ღირებულება დაახლოებით 65 მილიარდი აშშ დოლარია. მისი მოცულობა დაახლოებით 320 მილიარდი კუბური მეტრია. ხსენებული გაზის მარაგი მდებარეობს 1200 მეტრ სიღრმეში და ეს შეიძლება იყოს კიდევ უფრო დიდი ენერჯო რეზერვების ნაწილი, რაც დადგინდება 2023 წლისათვის.

ბუნებრივი გაზის საბადოს უწოდეს „ტუნა 1“ და ის მდებარეობს საქარას გაზის მარაგის რეგიონში, 170 კილომეტრში შავი ზღვის სანაპიროდან. სავარაუდოდ მას ექსპლუატაციას გაუწევს თურქეთის სახელმწიფო კომპანია „თურქიშ პეტროლიუმ კორპორეიშენ (the Turkish Petroleum Corporation - TPAO). ეს კომპანია უახლოეს მომავალში დაიწყებს ამ საბადოს სეისმოლოგიურ შესწავლას. უახლოეს მომავალში გამოცხადდება საერთაშორისო ტენდერი ამ გაზის სანაპირო ზოლამდე მიყვანისათვის გაზსადენის ასაგებად.

„ჩვენ დღის წესრიგიდან ამოვიღებთ ენერგო დეფიციტის საკითხს“, განაცხადა თურქეთის ფინანსთა მინისტრმა ბერატ ალბაიკარმა, ამ ახალი აღმოჩენის კომენტარებისას.

„ეს აღმოჩენა, სხვა რესურსები რომც ვერ ვიპოვოთ დააკმაყოფილებს თურქეთის მოთხოვნას 7-8 წლის განმავლობაში იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთი წლიურად მოიხმარს 45-50 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს, თუმცა საძიებო და ბურღვითი სამუშაოები გაგრძელდება“, განაცხადა თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა.

მოსალოდნელია, რომ ეს აღმოჩენა მიიზიდავს საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანიების ყურადღებას შავი ზღვისაკენ, რაც ხელს შეუწყობს შემდგომ აღმოჩენებს. თურქეთი ცდილობს გაზარდოს გაზის საშინაო მოპოვება, რადგან ქვეყანა 99%-თაა დამოკიდებული გაზსადენებით მიღებული ბუნებრივი აირის და გათხევადებული გაზის იმპორტზე. 2019 წელს თურქეთმა განახორციელა 45.3 მილიარდი კუბამეტრი ბუნებრივი აირის იმპორტი, დაახლოებით 12 მილიარდ დოლარად. ბუნებრივი აირის ფასი დამოკიდებულია ნავთობის ფასზე და თურქეთის მიერ იმ ოდენობის გაზის იმპორტზე რუსეთიდან, ირანიდან და აზერბაიჯანიდან. პირდაპირ კავშირშია ქვეყნის საგარეო ვაჭრობის დეფიციტთან.

ინვესტიციების ოდენობა საქარიას გაზის საბადოში განსაზღვრული იქნება მისი ადგილმდებარეობის გეოპოლიტიკურ სტრუქტურის, ჭაბურღილების ოდენობის და გამოყენებული ტექნოლოგიების შესაბამისად. ჯერ-ჯერობით რთულია საჭირო ინვესტიციების ოდენობის განსაზღვრა, რადგან ეს საბადო სავარაუდოდ იმ არეალში არსებული უფრო დიდი რესურსების ნაწილია და ჯერ კიდევ ბევრი მონაცემია უცნობი.

2018 წლის 21 ნოემბერს მოხდა ტრანს-ანატოლიის მილსადენის (Trans-Anatolian Pipeline – TANAP) დაკავშირება ტრანს-ადრიატიკის მილსადენთან (Trans-Adriatic Pipeline – TAP), რის შედეგადაც 2020 წლის განმავლობაში შესაძლებელი იქნება აზერბაიჯანის ბუნებრივი გაზი შაჰ-დენიზ 2 საბადოდან ტრანსპორტირება იტალიაში აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთის, საბერძნეთის, ალბანეთის და ადრიატიკის ზღვის გავლით. ამ მილსადენებით აზერბაიჯანული გაზის მიწოდება შესაძლებელი იქნება აგრეთვე სამხრეთ ევროპის ისეთი ქვეყნებისათვის როგორცაა ბულგარეთი, ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მონტენეგრო და ხორვატია. ხოლო იტალიიდან გაზის მიწოდება შესაძლებელი იქნება ევროპის ისეთი მნიშვნელოვანი ქვეყნებისათვის, როგორცაა გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია და ავსტრია.

ამით წარმატებით დასრულდა სამხრეთის გაზის დერეფნის ფორმირების კიდევ ერთი ეტაპი, რამაც უზრუნველყო როგორც სამხრეთ კავკასიის ისე ევროპის ენერგო-მატარებლებით მომარაგების დივერსიფიკაცია. თურქეთი გადაიქცა რეგიონის ენერგო-მატარებლების ჰაბად, რაც მნიშვნელოვნად ზრდის როგორც თავად თურქეთის, ისე საქართველოს მნიშვნელობას რეგიონისა და მთლიანად ევროპის ენერგო-უსაფრთხოებისათვის.

20-ე საუკუნის ბოლოს არსებობდა წინასწარი კვლევები, რომელთა მიხედვითაც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე შეიძლება არსებობდეს ბუნებრივი აირის გარკვეული მარაგები და თანამედროვე ტექნოლოგიებით შეიძლება შესაძლებელი იყოს მათი ექსპლუატაცია, რაც უნდა წარმოადგენდეს საქართველოს კონპეტენტური სტრუქტურების განსაკუთრებული ყურადღების საგანს. ამ მიმართულებით საჭიროა აქტიური პოლიტიკას გატარება, მათ შორის შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (Black Sea Economic Cooperation - BSEC) ფარგლებში.

4. საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიცია ტერიტორიულ დავებზე აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის არეალში

საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადა კვიპროსს და საბერძნეთს, დაგმო რა თურქეთის მიერ „მათი სუვერენიტეტის დარღვევა“. ამას წინ უძღოდა ფრანგულ-თურქული ურთიერთობების დამაბზავალი საკითხთან დაკავშირებითაც. შედეგად, ავიამზიდ „შარლ დეგოლის“ მიერ ჩატარებული ერთობლივი წვრთნების გარდა საფრანგეთმა გააგზავნა ერთი ფრეგატი და ორი ავიაგამანადგურებელი საბერძნეთის ძალებთან ერთობლივი წვრთნებისათვის სადავო არეალში. საბერძნეთმა და ევროკავშირმა დაგმეს თურქეთის მოქმედება, როგორც მათი ტერიტორიული უფლებების შემლახველი. საფრანგეთმა განაცხადა, რომ გაზრდის თავის სამხედრო ყოფნას რეგიონში, შესაძლო კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით. 2020 წლის 4 აპრილს საფრანგეთმა და კვიპროსმა ხელი მოაწერეს საერთაშორისო შეთანხმებას „თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 1 აგვისტოს.

პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა არსებულ სიტუაციას შემამფოთებელი უწოდა და თურქეთს მოუწოდა, რომ შეწყვიტოს ცალმხრივი მოქმედებები და „საშუალება მისცეს მშვიდობიან მოლაპარაკებებს მეზობლებს შორის“. მისივე განცხადებით, რეგიონში გაძლიერებული ფრანგული სამხედრო ძალების ყოფნა ემსახურება სიტუაციის მონიტორინგს და საერთაშორისო სამართლის დაცვას.

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა გააკეთა მოწოდება, რომ „სიტუაცია უნდა დარეგულირდეს მოკავშირეთა სოლიდარობის სულისკვეთებით და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად“. 2020 წლის 16 აგვისტოს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო ესაუბრა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ჩავოსოღლუს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში დამაბულობის შემცირების გზებისა და ლიბიაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

14 აგვისტოს ჩატარდა ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების ვიდეო კონფერენცია *inter-alia* აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, რომელიც ორგანიზებული იყო საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ჯოზეფ ბორელის მიერ. ხსენებული ვიდეოკონფერენციის მონაწილე მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს სამ საკითხზე: სოლიდარობა, დეესკალაცია და დიალოგი.

ვიდეოკონფერენციის მსვლელობისას საგარეო საქმეთა მინისტრებმა დაადასტურეს ევროკავშირის სრული სოლიდარობა საბერძნეთისა და კვიპოსის მიმართ და მხარი დაუჭირეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სუვერენული უფლებების სრულ პატივისცემას. მათ ასევე დაადასტურეს მინისტრთა საბჭოს წინა გადაწყვეტილებები ამ საკითხზე, რომლებიც მიღებული იყო 2018 წლის 22 მარტს და 2019 წლის ივნისში, ივლისში, ოქტომბერსა და დეკემბერში და 2020 წლის 15 მაისის განცხადებაში. ამასთან, საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხაზი გაუსვეს, რომ ურთიერთობების სერიოზულ გაუარესებას თურქეთთან შეიძლება ჰქონდეს შორს მიმავალი შედეგები მთელი ევროკავშირისათვის, აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ფარგლებს მიღმა.

საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხაზი გაუსვეს, რომ თურქეთის მიერ საზღვაო ძალების ახლანდელი მობილიზება ხელს არ უწყობს რაიმე გამოსავლის პოვნას. პირიქით, მას მიყვარს უფრო დიდი ანტაგონიზმის და უნდობლობისაკენ, რაც ქმნის სახიფათო ინციდენტების გაზრდილ რისკს. ამ პირობებში გადამწყვეტია თურქეთის მიერ მდგომარეობის დაუყოვნებელი დე-ესკალაცია.

საგარეო-საქმეთა მინისტრებმა დაადასტურეს თურქეთთან ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელობა. მათ ხაზი გაუსვეს, რომ საზღვაო საზღვრების დელიმიტაციისა და ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის საკითხები შეიძლება გადაჭრილი იყოს მხოლოდ დიალოგისა და მოლაპარაკებების გზით, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად და კეთილსინდისიერებისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების პრინციპის დაცვით და არა ცალმხრივი მოქმედებებით და საზღვაო ძალების მობილიზებით.

საგარეო საქმეთა მინისტრებმა დაადასტურეს 13 ივლისის საბჭოს სხდომის შედეგები. მათ გამოხატეს მტკიცე მხარდაჭერა საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ჯოზეფ ბორელის ძალისხმევის მიმართ, რომ აწარმოოს დიალოგი და ხელი შეუწყოს თურქეთთან ურთიერთქმედებას. ამასთან, უმაღლესი წარმომადგენელს დაავალეს, რომ მოამზადოს შესაბამისი ღონისძიებების სხვა ვარიანტებიც, იმ შემთხვევისთვის, თუ ვერ მოხდება დამაბულობის შემცირება.

ამავე საკითხებზე ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალური სამიტი ჩატარდება 27-28 აგვისტოს გერმანიაში, სადაც მოხდება ამ საკითხის უფრო ღრმა შესწავლა და ანალიზი.

ნატოს სანდოობა და შეკავების შესაძლებლობა ემყარება ალიანსში სოლიდარობასა და თანმიმდევრულ პოლიტიკას. შესაძლო აგრესორი დიდი ალბათობით არ დაესხმება ნატოს წევრ სახელმწიფოს იმის შიშით, რომ „ვამინგტონის ხელშეკრულების“ მიხედვით თავდასხმა ნატოს ერთ მონაწილეზე აღიქმება როგორც თავდასხმა მთელ ალიანსზე.

თურქეთი უკანასკნელ ხანებში სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევს საკუთარ ინტერესებს, მოითხოვს რა ნატოსაგან, რომ დაეხმაროს მისი პრობლემების გადაწყვეტაში. ამის მაგალითია თურქეთის შეჭრა სირიაში და დაპირისპირება საბერძნეთთან, იტალიასთან და განსაკუთრებით საფრანგეთთან, ლიბიის კონფლიქტთან დაკავშირებით. ასევე მისი ჩარევა აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ენერგო რესურსების საკითხში, რასაც აკრიტიკებს ევროკავშირი, თუმცა თურქეთი ამ ტერიტორიას მიიჩნევს საკუთარ ტერიტორიად, რაც ასევე იწვევს დამაბულობას ნატოში.

აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში საძიებო სამუშაოები თურქეთის ახალი საზღვაო სტრატეგიის ნაწილია, სახელად „ცისფერი სამშობლო“, რომელიც მოიცავს მის გარშემო არსებული საზღვაო აკვატორიების კონტროლს. ნატოს ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლია მხოლოდ დახურულ კარებებს მიღმა მოლაპარაკებებით და საერთო ენის გამონახვით მოკავშირეებს შორის, თუმცა საფრანგეთის საზღვაო სამხედრო ძალების გააქტიურება იმის მაგალითია, რომ ნატოს წევრი ქვეყნები არ გამორიცხავენ ძალის დემონსტრირებას ნატოს შიგნით მიმდინარე პროცესებზე ზემოქმედების მიზნით.

როგორც ნათლად ჩანს ზემოხსენებულიდან, შავი ზღვის რეგიონის მეზობლად მყოფ აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში იზრდება კონკურენცია ენერგომატარებლების მოპოვებისა და სამხედრო - საზღვაო ძალების მოდერნიზაციისა და გაძლიერების თვალსაზრისით. ჯერ ძნელი სათქმელია, თუ

რამდენად შეცვლის ძალთა ამ განლაგებას თურქეთის მიერ შავ ზღვაში აღმოჩენილი ბუნებრივი აირის მარაგი, რადგან მასთან დაკავშირებით ბევრი მონაცემი ჯერ კიდევ უცნობია.

ამას ემატება შავი ზღვის რეგიონში რუსეთის მიერ თავისი სამხედრო-საზღვაო ძალების გადაიარაღება და გაძლიერება და საშიში ინციდენტების მოხდენის რისკი. შესაბამისად, საქართველომ ევროკავშირის და ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერით უნდა განაგრძოს თავისი შეიარაღებული ძალების და მათ შორის საზღვაო ძალების განმტკიცება და გაძლიერება. ამასთან, საქართველომ კიდევ უფრო უნდა განამტკიცოს და თავისი ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კურსი, რათა რეგიონში კონფლიქტების განახლების შემთხვევაში ჰქონდეს ძლიერი სტრატეგიული პარტნიორების, საერთაშორისო გაერთიანებებისა და მეგობარი სახელმწიფოების მხარდაჭერა.